დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2021 წლის 05 აპრილის N 02-03/ 6 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი საჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მიერ პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დებულება

თავი 1. ზოგადი დებულებები

პრეამბულა

1. ეს წესი განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ ტელე, რადიო, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის(პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის წესსა და პირობებს, ასევე, დამოუკიდებელი პირების მიერ მომზადებულ პროგრამების შესყიდვის წესსა და პირობებს, რომელთა შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.

2. ეს წესი არ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი საქონლის ან/და მომსახურების შეძენაზე, რომელი საქონლის ან/და მომსახურების შეძენაც გათვალისწინებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით;

3. სატელევიზიო, რადიო და ვებ.გვერდის მეშვეობით მაუწყებლობისას მუსიკალრი ნაწარმოების/ფონოგრამების ან/და შესრულების საჯარო გადაცემის ლიცენზირება ხდება პირდაპირ, ქვეყანაში მოქმედ იმ კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან რომელსაც დადებული აქვს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება მსოფლიოს უმეტეს ანალოგიურ ორგანიზაციასთან.

4. კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მაუწყებელი ხელმძღვანელობს კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს, ამავე დებულების მიზნებისთვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

გარე წარმოება - „ტელე/რადიო/ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელებისათვის განკუთვნილი პროდუქცია",პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურება, ასევე პროგრამა, რომელიც არ არის შექმნილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიერ.

პროგრამა - პროგრამა, რომელსაც ამზადებს მესამე პირი მაუწყებელის მიერ დადგენილი პირობების და დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

პროდუქცია – ტელე/რადიო/ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელებისათვის განკუთვნილი აუდიოვიზუალური ნაწარმოები (მათ შორის პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება), მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოთეკა, ორიგინალური ნაწარმოები, სინქრონიზაცია(რეპროდუცირება).

მომსახურება – ტელე, რადიო, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის (პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება და სხვა) შესაქმნელად საჭირო მომსახურება. **პროდუქციის შესყიდვა** - წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით მაუწყებლის მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში მოქცეული ტელე/რადიო/ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელებისათვის განკუთვნილი პროდუქციის საჯარო გადაცემის/ჩვენების უფლების/გამოყენების/სინქრონიზაციის(რეპროდუცირების) უფლების ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების ან/და განსაკუთრებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესყიდვა.

ლიცენზია - პროდუქციის საჯარო გადაცემის/ჩვენების უფლების/გამოყენების/სინქრონიზაციის(რეპროდუცირების) ნებართვა.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო გადაცემის/ჩვენების უფლება - ეთერში გარკვეული/შეუზღუდავი რაოდენობით ამ ნაწარმოების აუდიოვიზუალური ჩვენების უფლება.

აუდიოვიზუალური ნაწარმოები - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი (მათ შორის ფილმი, მუსიკალური კლიპი).

მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოთეკა - სინქრონიზაციის მიზნით ერთიან პლათფომაზე ატვირთული ჟანრობრივად და სხვადასხვა კრიტერიუმით დალაგებული ფონოგრამაზე ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები, რომელზეც საავტორო და მომიჯნავე უფლებებს სრულად ფლობს ბიბლიოთეკა და მასში არსებულ ნაწარმოებებზე/ფონოგრამებზე უფლებების მოპოვებას არ სჭირდება წინასწარი შეთანხმება. ასეთ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს წლიური/თვიური ან მსგავსი პაკეტების შეთავაზების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს კონკრეტული საფასურის სანაცვლოდ ბიბლიოთეკაში არსებული ნაწარმოებები/ფონოგრამების შეუზღუდავი სინქრონიზაციის უფლებას სატელევიზიო/რადიო ეთერისათვის.

ორიგინალური ნაწარმოები - მუსიკალური ნაწარმოები ან/და ფონოგრამა რომელზეც უფლებები ლიცენზირდება ინდივიდუალურად, ყოველი გამოყენებისათვის სათანადო უფლების მფლობელის მიერ. ასეთი უფლების მფლობელები შეიძლება იყვნენ მუსიკალური გამომცემლები ან/და „რექორდ ლეიბლები" ან/და მათი რეგიონული წარმომადგენლები ან/და აგენტები.

სინქრონიზაცია- რეპროდუცირების ნაირსახეობა, როდესაც ხდება მუსიკალური ნაწარმოების ან/და ფონოგრამის შემადგენელ ნაწილად ჩართვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში.

მაუწყებელი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო";
დაფინანსება – მაუწყებლის მიერ დაფინანსების მიმღებისთვის პროგრამის განსახორციელებლად/შესაქმნელად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაცემული მიზნობრივი რესურსი, ფულადი ფორმით;
კონკურსი – თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო პროგრამის/პროდუქციის გამოვლენას და დაფინანსებას;
განაცხადი – კონკურსში/გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილეობის თაობაზე წარმოდგენილი წერილობითი განცხადება (თანდართული დოკუმენტებით/აუდიო/ვიდეო მასალით, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში).
განმცხადებელი – კკონკურსში/გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარმომდგენი
დაფინანსების გამცემი – მაუწყებელი, რომელიც დაფინანსების გაცემის პროცესს წარმართავს საკონკურსო კომისიის მეშვეობით;
დაფინანსების მიმღები – საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილი განმცხადებელი, რომლის მიერ წარდგენილმა პროგრამამ გაიმარჯვა და რომელთანაც გაფორმდა დაფინანსების ხელშეკრულება;
ღირებულება - ტელე/რადიო/ვებგვერდისა და სოციალური ქსელებისათვის განკუთვნილი პროდუქციის შესყიდვის გადასახადი. პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის გადასახადი
საკონკურსო კომისია – მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზებულ მართვას, განაცხადების მიღებას, მათ განხილვას, დაფინანსების მიმღების, მიმწოდებლის გამოვლენას და კონკურსთან/გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;
დაფინანსების ხელშეკრულება – დაფინანსების გამცემსა და დაფინანსების მიმღებს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება პროგრამის მომზადების დაფინანსების შესახებ;
ხელშეკრულება - მაუწყებელსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
დამოუკიდებელი ექსპერტი – ფიზიკური პირი, რომელსაც შესაბამის სფეროში გააჩნია სპეციალური ცოდნა, ამ ცოდნის ფარგლებში აფასებს პროექტს/პროდუქციას და სამსახურებრივად არ არის დაკავშირებული მაუწყებელთან ან/და სხვა სამაუწყებლო კომპანიასთან.
მიმწოდებელი - პროდუქციის შესყიდვის, პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის კონკურსში გამარჯვებული/გამარტივებული/პირდაპირი შესყიდვისას გამოვლენილი პირი.
2. წინამდებარე მუხლის ტერმინების განმარტების გავრცობა/ინტერპრეტირება შესაძლებელია მოხდეს გონივრული განსჯის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობით.
3. ამ დებულებაში მითითებული სხვა ტერმინები და ცნებები განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. პროგრამ(ებ)ის/პროდუქციის/მომსახურების დაფინანსების საერთო მოცულობა და ოდენობა თემატური მიმართულებების მიხედვით

1.პროგრამების/პროდუქციი/მომსახურების შესყიდვა ფინანსდება მაუწყებლის წლიური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. პროგრამების/პროდუქციი/მომსახურების შესასყიდად გამოსაყოფი დაფინანსების საერთო მოცულობა დგინდება მაუწყებლის ბიუჯეტით.

მაუწყებელი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს მაუწყებლის დირექტორი ამ წესის N1 დანართის შესაბამისად(ამოქმედდეს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე)..

4.მომდევნო წლის ტელე-, რადიო-, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის (პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის წლიური გეგმა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით დგება/მტკიცდება არაუგვიანეს მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (ამოქმედდეს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე).

5.დამტკიცებულ წლიურ გეგმაში ცვლილება დასაშვებია შესაბამისი ობიექტური გარემოებების საფუძველზე, მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით(ამოქმედდეს 2022წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე).

6. პროგრამის/პროდუქციის/მომსახურების კონკრეტული შესყიდვის ღირებულებას განსაზღვრავს მაუწყებლის დირექტორი შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი ბაზრის მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

7. დამოუკიდებელი პირების მიერ მომზადებული პროგრამების შეძენა ხორციელდება თემატური მიმართულებების მიხედვით. თემატური მიმართულებები, რომელთა ფარგლებშიც უნდა გამოცხადდეს კონკურსი და დაფინანსების გაცემა, განისაზღვრება მმართველთა საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი (ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე).

მუხლი 4. შესყიდვის ადმინისტრირება

1. მაუწყებლის მიერ პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების, ასევე პროგრამის შეძენა შეიძლება კონკურსით, გამარტივებული ან პირდაპირი შესყიდვის წესით

2. კონკურსს აცხადებს, გამარტივებულ და პირდაპირ შესყიდვას ადმინისტრირებას უწევს მაუწყებელი, ამ დებულების შესაბამისად.

3. კონკურსის/გამარტივებული შესყიდვის ადმინისტრირების მიზნით მაუწყებლის დირექტორი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას

ბ) განაცხადის მიღების ვადების დადგენას;
ბ) საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცებას (საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი საკონკურსო პირობების პროექტის გათვალისწინებით)
გ) საკონკურსო კომისიის და ამავე კომისიის სამდივნოს შექმნას(საჭიროების შემთხვევაში). საკონკურსო კომისიის მუშაობაში მოწვეული პირის სტატუსით სხვადასხვა პირის მოწვევას;
დ) დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებას;
ზ) სხვა საკითხების რეგულირებას, რომელიც ამ დებულების მიზნებისათვის, არ შედის სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციაში, მაგრამ აუცილებელია კონკურსის ადმინისტრირებისთვის.
4. მაუწყებლის დირექტორი ამ დებულების მიზნებისათვის ამტკიცებს დაფინანსების მიმღების მიერ წარმოსადგენი ხარჯთაღრიცხვის ფორმას.

თავი 2. კომისიის ფუნქციონირება

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. კონკურსის ორგანიზებული მართვის (საკონკურსო პირობების დადგენის საკონკურსო განაცხადების მიღების, განხილვის, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და სხვა), გამარტივებული შესყიდვის უზრუნველყოფის და ამ დებულებით გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით. საკონკურსო კომისია კომპლექტდება სათანადო კომპეტენციის მქონე პირებით. კომისიის შემადგენლობა შესაძლებელია შეიცვალოს ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ პუნქტში მითითებულ ბრძანებაში განისაზღვრება კომისიის უფლებამოსილების ვადაც.
2. კომისიაში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.
3. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.
კომისიის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს კომისიის და კომისიის სამდივნოს მუშაობას; ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას; განსაზღვრავს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს კომისიის წევრებისათვის მის ხელმისაწვდომობას; უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას და წესრიგის დაცვას;
ბ) წარმოადგენს კომისიას საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
გ) ხელს აწერს კომისიის და კომისიის სამდივნოს კორესპონდენციას;
დ)ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.
4. კომისია:
ა) ადგენს საკონკურსო მოთხოვნების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

ბ) იღებს საკონკურსო განაცხადებს და ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან;
გ) იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ;
დ) განიხილავს საკონკურსო პროექტებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;
ე) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების შესახებ;
ვ) მაუწყებლის დირექტორს წარუდგენს წინადადებას სათათბირო ხმის უფლებით კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით შესაბამისი პირების მოწვევის შესახებ;
ზ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
თ)აცხადებს ან უარყოფს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას.

მუხლი 6. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა
კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) კომისიის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ;
ბ) მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებით;
გ) თუ იგი სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად იქნა აღიარებული ან მხარდაჭერის მიმღებად იქნა ცნობილი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) თუ იგი სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
ე) თუ იგი გარდაიცვალა;
ვ) თუ მან პირადი (დასაბუთებული) განცხადებით უარი თქვა კომისიის წევრობაზე;
ზ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
თ)თუ იგი არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ორჯერ არ მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში;
ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი
1. კომისიის წევრი, აგრეთვე, პროგრამების, პროდუქციის, მომსახურების შეფასების პროცესში მონაწილე დამოუკიდებელი ექსპერტი, არ შეიძლება იყოს პირი:
ა) რომელიც არის განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი;
ბ) რომელიც არის განმცხადებლის ნათესავი;
გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროგრამის/პროდუქციის/მომსახურების გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
დ)რომელიც შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან;

ე) რომლის საქმიანობა იწვევს დასაბუთებულ ეჭვს პირის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ.
2. ამ დებულების მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:
ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
დ)და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებულნი არიან, კომისიას აცნობონ აცილების საფუძვლებისა და მისგან გამომდინარე, თვითაცილების შესახებ.
4. ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების საფუძვლების შესახებ კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროგრამის/შესასყიდი პროდუქციის/მომსახურების დამტკიცებამდე, კომისია აუქმებს აცილებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებულ შეფასებას.
6. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების საფუძვლების შესახებ კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროგრამის დამტკიცების ან/და დაფინანსების, ან/და პროდუქციის/მომსახურების მიმწოდებლის გამოვლენის ან/და გადახდილი ღირებულების გაცემის შემდეგ, მაუწყებელსა და მეორე მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება წყდება და გადარიცხული თანხა სრულად ექვემდებარება მაუწყებლის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება დღის წესრიგის შესაბამისად.
2. სხდომაზე მოწვეული უნდა იქნას კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი შეიძლება ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან კომისიის გადაწყვეტილებით მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით.
3. კომისია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე.
4. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, კომისიის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. კომისიის წევრს უფლება აქვს, საკითხზე კენჭისყრისას თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
6. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
8. კომისია უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს მაუწყებლის თანამშრომელი კონსულტაციის მიზნით. მაუწყებლის თანამშრომელი ვალდებულია გამოცხადდეს სხდომაზე და კომპეტენციის ფარგლებში კომისიას გაუწიოს შესაბამისი კონსულტაცია მის წინაშე დასმულ საკითხზე.

მუხლი 9. კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის სხდომის ოქმს ადგენს კომისიის სამდივნოს თანამშრომელი , კომისიის სამდივნოს შექმნის შემთხვევაში, ამ დებულების შესაბამისად. კომისიის სამდივნოს არ შექმნის შემთხვევაში კომისიის სხდომის ოქმს ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი კომისიის თავმჯდომარის დავალებით. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და საკითხის განხილვაში მონაწილე სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები. თუ კომისიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, ასეთმა წევრმა შენიშვნა წერილობითი ფორმით უნდა დაურთოს ოქმს.
2. სხდომის ოქმში შეიტანება:
ა) კომისიის დასახელება;
ბ) სხდომის დრო და ადგილი;
გ) კომისიის წევრების და მოწვეული პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი და თანამდებობა;
დ)სხდომის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირის – კომისიის მდივნის სახელი, გვარი და თანამდებობა;
ე) დღის წესრიგი;
ვ) საკითხის განხილვის აღწერა;
ზ) კენჭისყრის შედეგები;
თ)მიღებული გადაწყვეტილებები.
ი)კომისიის სხდომის ოქმში შეიტანება ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე. სხდომის ოქმზე ხელმოწერა ითვლება ასევე, ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ოქმში მითითებული ინფორმაციის ხელმოწერით დადასტურებად.
3.კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე შეიქმნას ცალკე დოკუმენტი.
4. სხდომის ოქმი დგება ელექტრონულად, რომელიც ამოიბეჭდება მატერიალური სახით, ერთ ეგზემპლარად და დედნის სახით ინახება მაუწყებელში.

მუხლი 10. კომისიის სამდივნო

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც მაუწყებლის დირექტორი ქმნის ბრძანებით ან მის ფუნქციებს ავალებს მაუწყებლის რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს/თანამშრომელს. სამდივნოში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.
2. სამდივნო:
ა) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს კონკურსთან/გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით განმცხადებლებისაგან შემოსულ დოკუმენტებს;

ბ) ამზადებს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს კომისიის წევრთა და მოწვეულ პირთა ინფორმირებას;
გ) უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ოქმების წარმოებას;
დ)უზრუნველყოფს ან ორგანიზებას უკეთებს კონკურსთან/გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნებას;
ე) ასრულებს კომისიის წევრებისა და კომისიის თავმჯდომარის მითითებებს;
ვ) ასრულებს კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ფუნქციას.
3. სამდივნოს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
4. კომისიის სამდივნოს არ შექმნის შემთხვევაში კომისიას ტექნიკურ დახმარებას უწევს მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილება. კომისიის სამდივნოს შემნა დამოკიდებულია, მოსალოდნელი განცხადებების სიმრავლეზე.

მუხლი 11. დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევა
1. კომისიას უფლება აქვს მიმართოს მაუწყებლის დირექტორს, კონკურსთან/გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით სპეციალური ექსპერტული ცოდნის ფარგლებში დახმარების აღმოჩენის მიზნით, დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევის შესახებ.
2. კომისია ვალდებულია წარუდგინოს დამოუკიდებელ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია და განუსაზღვროს საკითხთა წრე, რაზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნის მიღება.
3. დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი დასკვნა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
4. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა, ასევე დასკვნის დაგვიანებით ან/და არასრულყოფილად წარდგენა ხელს არ უშლის გადაწყვეტილების მიღებას.
5. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია კომისიისათვის.
6. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

თავი 3. შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

მუხლი 12. კონკურსის პირობები
კონკურსში მონაწილეობის მიზნით, განმცხადებლის მიერ წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა, წარდგენის წესი და ვადები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 13. კონკურსის ეტაპები
კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;
გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;
დ)კომისიის მიერ პრგრამების/პროდუქციის/მომსახურების შეფასება და გამარჯვებული პროგრამის/მიმწოდებლის გამოვლენა;
ე) ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 14. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნება

1. მაუწყებელი აქვეყნებს განცხადებას კონკურსის გამოცხადების შესახებ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ამასთან შესაძლოა გამოყენებული იქნას ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებიც.
2. განაცხადების მიღება დასაშვებია კონკურსის გამოცხადების განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც აითვლება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მომენტიდან. განცხადებების მიღების ვადა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები.
3. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) თემატური მიმართულების (პროგრამის/პროდუქციის/მომსახურების) დასახელება/აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული დაფინანსების გაცემით;
ბ) მოთხოვნები;
გ) პროგრამის მომზადების/განხორციელების პერიოდი;
დ)დაფინანსების/ღირებულების ოდენობა;
ე) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში);
ვ) განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.
4. საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება შეიძლება შეიცავდეს ამ მუხლისგან დამატებით/განსხვავებულ ინფორმაციასაც.

მუხლი 15. მოთხოვნები

1. კომისიას უფლება აქვს, კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებელს მოსთხოვოს საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა, თუ ასეთი ცნობა მოთხოვნილი არ იქნება განცხადებით, კონკურსის გამოცხადების შესახებ.
2. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცნობას, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე.

მუხლი 16. განაცხადი და მისი წარდგენის წესი

1. განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან ელექტრონულ ფოსტაზე (ელ.ფოსტა მიეთითება კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში/საკონკურსო პირობებში) გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

მუხლი 17. განაცხადის შერჩევა

1. განაცხადების მიღებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, კომისია იწყებს განაცხადების შემოწმება-შერჩევას, რომლის მიზანია წარმოდგენილი განაცხადების ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მისი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის კუთხით.

2. შერჩევის პროცესში კომისია ახდენს განაცხადების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად:

ა) განაცხადები, რომელთა მიმართ არსებობს განუხილველად დატოვების საფუძველი;

ბ) განაცხადები, რომლებიც უნდა იქნეს განხილული;

გ) განცხადებები, რომლებიც არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას.

დ. განცხადებები, რომელთა თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად/შესაფასებლად საჭიროა განმცხადებლისგან დამატებითი დოკუმენტაციის (ინფორმაცია/წერილობითი ფორმის დოკუმენტი/ვიდეო-აუდიო მასალა) მიღება.

2[1]. მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქის შემთხვევაში, კომისია წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე ადგენს ხარვეზს და განმცხადებლს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრას გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადას.

2[2]. მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადას.

3. განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს განუხილველად დატოვების საფუძველი. განაცხადი ექვემდებარება განუხილველად დატოვებას, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან თუ:

ა) განმცხადებელმა, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი და/ან არ დააზუსტა და/ან არ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია ან დოკუმენტაცია წარადგინა მოთხოვნილი ფორმის დარღვევით;

ბ) ერთი განმცხადებლის მიერ წარდგენილია ერთზე მეტი პროგრამა/პროდუქცია/მომსახურება ერთ კონკურსზე;

გ) განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, განაცხადები კომისიის მიერ ცხადდება განუხილველად დატოვებულად და ისინი შემდგომ გასწორებას/შევსებას არ ექვემდებარება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე განმცხადებელს ეცნობება წერილობით (ან ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის გზით), სამდივნოს ან საქმისწარმოების განყოფილების მიერ.

6. კონკურსზე განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ან თუ წარმოდგენილი ყველა განცხადება დარჩა განუხილველი, კომისია კონკურსს აცხადებს ჩაშლილად და ამ გადაწყვეტილებას წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.

მუხლი 18. შესასყიდი პროგრამის/პროდუქციის/მომსახურების შეფასების კრიტერიუმები

1. პროგრამის/პროდუქციის/მომსახურების შესყიდვის მიზნით დგინდება საკონკურსო მოთხოვნები წინამდებარე მუხლში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნულ კრიტერიუმებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი (გარდამე-2 პუნქტისა, რომელიც არის სავალდებულო კრიტერიუმი) და შესაძლებელია დადგინდეს წინამდებარე მუხლში მითითებული კრიტერიუმებისგან განსხვავებული/დამატებითი კრიტერიუმები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოსაცხადებელი კონკურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1.1. პროგრამის შესყიდვის საკონკურსო განცხადებით შესაძლებელია დადგენილი იყოს შემდეგი მოთხოვნები/კრიტერიუმები:

ა) რეგიონალური ფაქტორი (აჭარის ა/რ რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინება);

ბ) შესაბამისობა„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ტელევიზიის და რადიოს პრიორიტეტებთან და ჟურნალისტური ეთიკის მოთხოვნებთან;

გ) შესაბამისობა დასავლურ სატელევიზიო/რადიო სტანდარტებთან - ხარისხის, შინაარსის და შესრულების კუთხით;

დ) თანამედროვე და კრეატიული რეჟისორული ხერხების გმაოყენება;

ე) პროგრამის კონტენტის თანხვედრა მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკასთან;

ვ) პროგრამით თემატიკის ფართო სპექტრის მოცვა, თემების აქტუალურობა და შესაბამისობა რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან;

ზ) შესაბამისობა მაუწყებლის პრიორიტეტებთან.

თ) გასაწევი ფინანსური ხარჯების ადექვატურობა/შესაბამისობა მისაღებ პროდუქტთან.

1.2. პროდუქციის შესყიდვის საკონკურსო განცხადებით შესაძლებელია დადგენილი იყოს შემდეგი მოთხოვნები/კრიტერიუმები:

ა)პროდუქციის აუდიო/ვიდეო ხარისხი.

ბ)პროდუქციის შექმნის თარიღი.

გ) პროდუქციის გამოყენების/სარგებლობის ხანგრძლივობა.

დ) პროდუქციის საჯარო გადაცემის რაოდენობა.

ე) გარკვეულ პერიოდში პროდუქციის (მუსიკალური ნაწარმოები/ფონოგრამის/აუდიოვიზუალური ნაწარმოების) ჰიტის სტატუსის ქონა.
ვ) პროდუქციის რეიტინგი (რეიტინგი შესაძლებელია აღებული იყო ერთი ან რამდენიმე ვებ.გვერდის მონაცემებზე დაყრდნობით)
ზ) პროდუქციის ჟანრი
თ)პროდუქციის მწარმოებელი (ქვეყანა/ქვეყნები)
ი)გაქირავებით მიღებული შემოსავალის ოდენობა
კ)პროდუქციის გამოყენების მოქნილობა
ლ)პროდუქციის ჩვენების/გამოყენების ექსკლუზივი
მ) კონკურსში მონაწილის გამოცდილება.

1.3.პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებით შესაძლებელია დადგენილი იყოს შემდეგი მოთხოვნები/კრიტერიუმები:
ა) გახმოვანების ხარისხი
ბ)გახმოვანების ხმების რაოდენობა

2. გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში სავალდებულოა ხელშეკრულებით/საკონკურსო პირობით დადგენილ ვადაში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი სჯარო გადაცემის უფლების გაცემის ლიცენზია.

მუხლი 19. გამარჯვებული პროგრამის/მიმწოდებლის გამოვლენა

1. პროდუქციის/მომსახურების შესყიდვის კონკურსის გამოცხადებისას, კონკურსის ჩატარებამდე არსებულ მოკვლევებზე დაყრდნობით და შესყიდვის მოცულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საკონკურსო განცხადებით დადგინდეს კონკურსში ერთზე მეტი გამარჯვებულის გამოვლენის დასაშვებობა, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს.
2. კომისია დეტალურად სწავლობს და აფასებს შემოთავაზებულ პროგრამებს/პროდუქციას/მომსახურებას და წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას. შეფასება ხორციელდება კომისიის ყველა წევრის მიერ, პროგრამების/პროდუქციის/ომსახურების შეფასების კრიტერიუმების/საკონკურსო მოთხოვნების მიხედვით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ახსნა-განმარტებების მიღება შესაბამისი განმცხადებლისგან და/ან დამოუკიდებელი ექსპერტისაგან.
3. პროდუქციის/მომსახურების კონკურსში რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენისას, საკონკურსო კომისია აწარმოებს გამარჯვებულებთან მოლაპარაკებას კონკურსში მონაწილეების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების შერჩევის მიზნით. პროდუქციის/მომსახურების შერჩევისას კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლის ინტერესების, მათ შორის, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით; ამასთან, კომისია უნდა ეცადოს გამარჯვებული კონკურსანტებისგან თანაბარი რაოდენობის/ღირებულების პროდუქციის/მომსახურების შერჩევას.

4. კონკურსში გამარჯვებულთან შეთანხმების მიუღწევლობის თაობაზე კომისია შესაბამის ჩანაწერს აკეთებს სხდომის ოქმში და მიუთითებს შეთანხმების მიუღწევლობის საფუძვლებს.
5. პროგრამა/მიმწოდებელი გამრჯვებულად გამოვლინდება კომისიის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგინდეს პროგრამის/მიმწოდებლის შეფასების კრიტერიუმები და განისაზღვროს შეფასება ქულათა სისტემით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, კომისიის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. კომისიის წევრს უფლება აქვს, საკითხზე კენჭისყრისას თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. ქულათა სისტემით შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პროგრამა/მიმწოდებელი რომელიც დააგროვებს ქუალათა არანაკლებ 70%-ს.
6. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში. კომისიის გადაწყვეტილება პროგრამის/მიმწოდებლის გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთება აისახება კომისიის სხდომის ოქმში. რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში სხდომის ოქმში ასევე აისახება კომისიასა და გამარჯვებულს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგი.
7. კომისიის გადაწყვეტილება (ოქმი) წარედგინება მაუწყებლის დირექტორს, გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
8. მაუწყებლის დირექტორი განიხილავს საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ გადაწყვეტილებას, მათ შორის, რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში თითოეულ მათგანთან მიღწეულ შეთანხმებას და არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ.

მუხლი 20. გადაწყვეტილების მიღების ვადა

პროგრამის/მიმწოდებლის შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული გამოვლინდეს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 21. ხელშეკრულების დადება

1. სამართლებრივი ურთიერთობა მაუწყებელსა და დაფინანსების მიმღებს/მიმწოდებელს შორის წესრიგდება ამ დებულებით და მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.
2. ხელშეკრულების დადების საფუძველია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მაუწყებლის დირექტორის მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების ბრძანება პროგრამის/მიმწოდებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ.
3. პროგრამის/მიმწოდებლის გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, მაუწყებელსა და კონკურსში გამარჯვებულს შორის იდება ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:
ა) მხარეთა დასახელებას და რეკვიზიტებს;
ბ) მითითებას ხელშეკრულების დადების საფუძვლის შესახებ;
გ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
ე) ხელშეკრულების ღირებულებას და დაფინანსების გაცემის/ღირებულების გადახდის ეტაპებს, წესს, ვადას და მხარეთა საბანკო რეკვიზიტებს;
ვ) პასუხისმგებლობის ფორმებს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
ზ) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს და შეწყვეტის წესს;
თ)გამოუყენებელი დაფინანსების ნაწილის დაბრუნების მექანიზმს;
ი) დავის გადაწყვეტის წესს;
კ) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესს (ფორმას);
ლ) მაუწყებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესს;
მ)წინასწარი ანგარისსწორების შემთხვევაში, შესაბამის გარანტიებს.
ნ) ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.
5. ხელშეკრულება არ იდება იმ შემთხვევაში, როცა:
ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია ხელშეკრულების დადება;
ბ) გამოვლინდა პროგრამის/მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი;
გ) არსებითად არის დარღვეული კონკურსის ჩატარების წესი.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრიდან 10 დღის ვადაში, მაუწყებელის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების ან ხელახალი კონკურსის გამოცხადების/გამოუცხადებლობის შესახებ.
7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, 10 დღის ვადაში მაუწყებელის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ ან/და ხელახალი კონკურის გამოცხადების შესახებ.

მუხლი 22. დაფინანსების მიმღების/მიმწოდებლის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

1. დაფინანსების მიმღები/მომწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში მაუწყებლის ნებისმიერი თანამშრომლის ჩარევა დაუშვებელია.
2. დაფინანსების მიმღების/მომწოდებლისსაქმიანობაში ჩარევად არ ითვლება ამ დებულებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 23. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. მაუწყებელი ახორციელებს დაფინანსების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს.
3. მონიტორინგი გულისხმობს როგორც დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში მაუწყებლის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან

(ფინანსური მონიტორინგი), ასევე, დაფინანსების ხელშეკრულებით დაგეგმილი პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების/ლიცენზის შემოწმებას (პროგრამული მონიტორინგი).

4. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება დაფინანსების ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება დაფინანსების ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას მაუწყებლის ანგარიშზე;

გ) დაფინანსების აუთვისებელ ნაწილად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება მაუწყებლის ანგარიშზე დაბრუნებას.

6.ფინანსურ მონიტორინგ ახორციელებს მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსი, ან მისი დავალებით ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი. პროგრამულ მონიტორინგს ახორციელებს სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი/ონლაინ მედიის სამსახურის უფროსი/რადიო მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (იმის მიხედვით, თუ რომელი პლატფორმის პროგრამა/პროდუქცია/მომსახურება შეისყიდა მაუწყებელმა), ან მისი დავალებით ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი.

7.ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი/ონლაინ მედიის სამსახურის უფროსი/რადიო მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (იმის მიხედვით, თუ რომელი პლათფორმის პროექტი/პროდუქცია შეისყიდა მაუწყებელმა), ან მისი დავალებით ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი.

თავი 4. შესყიდვა გამარტივებული წესით

მუხლი 24. გამარტივებული შესყივის განხორციელების პირობა

1. გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს, თუ:

   ა) პროდუქციის ან/და მომსახურების შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება არ აღემატება 200 000 ლარს.

   ბ)პროგრამის შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს.

2. გამარტივებული შესყიდვის პროცესს ადმინისტრირებას უწევს მაუწყებლის დირექტორის მიერ წინამდებარე წესის მეორე თავით განსაზღვრული კომისია.

3. კომისია უფლებამოსილია:

   ა) ორგანიზება გაუწიოს ბაზრის კვლევას;

   ბ) დაადგინოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება;

გ) შესყიდვის პირობები/წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული კომუნუკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით გაუგზავნოს პოტენციურ მომწოდებლებს;

დ) გამოავლინოს გამარჯვებული მომწოდებელი/მომწოდებლები/დაფინანსების მიმღები.

4. პოტენციურ მომწოდებელს/დაფინანსების მიმღებს წინადადების ფასის და დოკუმენტების წარმოსადგენად ეძლევათ გონივრული ვადა შესყიდვის თავისებურებების გათვალისწინებით.
5. ბაზრის კვლევის დაწყებისა და წინადადების მიღების თაობაზე განცხადება პარალელურად ქვეყნდება მაუწყებლის ვებ-გვერზე.
6. განცახდებების მიღების ვადის დასრულების შემდეგ 5 დღის ვადაში კომისია, შეარჩევს საუკეთესო წინადადებას და გამოავლენს გამარჯვებულს.
7. კომისია გამარჯვებულს გამოავლენს და შესაბამის ოქმს წარუდგენს დირექტორს წინამდებარე წესის მე-19 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუქნტებით დადგენილი წესის შესაბამისად.
8. მაუწყებლის დირექტორი კომისიის ოქმის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შერჩევის შედეგებს ამტკიცებს ბრძანებით ან/და უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.
9. შერჩევის შედეგების დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში გამარჯვებულ მომწოდებელთან ფორმდება ხელშეკრულება.
10. შერჩევის შედეგების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შერჩევა ცხადდება ჩაშლილად.

მუხლი 25 . გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მათი გადასინჯვის წესი

1. გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

2. გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი).

3. გამარტივებული შესყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს იმავე პირობებს რაც დადგენილია წინამდებარე წესის 21-ე მუხლის მეოთხე პუნქტში.

4. გამარტივებული შესყიდვის შედეგად დადებული დაფინანსების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

თავი 5. პირდაპირი შესყიდვა

მუხლი 24. პირდაპირი შესყიდვა

1. პირდაპირი შესყიდვა დასაშვებია:

ა) მომსახურების გაწევა ან/და პროდუქციის ან/და პროგრამის მოწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ჩასანაცვლებლად.

დ) თუ პროდუქციის ლიცენზიის შესყიდვა ხდება უშუალოდ საავტორო/მომიჯნავე/მონაცემთა ბაზის უფლების მფლობელისგან.

ე) ტელე, რადიო, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვა ხდება მოკლევადიანი/ერთჯერადი მომსახურების სახით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირდაპირი შესყიდვის აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3. წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს:

- შესყიდვის ობიექტი;
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება;
- რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება (1.ა. პუნქტის შემთხვევაში);
- რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ჩასანაცვლებლად(1.ა. პუნქტის შემთხვევაში);
- რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.
- რით არის განპირობებული პროდუქციის ლიცენზიის შესყიდვა უშუალოდ საავტორო/მომიჯნავე/მონაცემთა ბაზის უფლების მფლობელისგან(1.დ. პუნქტის შემთხვევაში)..
- რით არის განპირობებული მომსახურების შეყიდვა ამ კონკრეტული პირისგან (1.ე. პუნქტის შემთხვევაში).

4. წერილობით დასაბუთება, კორესპონდენციის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, განსახილველად ეგზავნება მმართველთა საბჭოს.

5. მმართველთა საბჭო კონკურსის გარეშე შესყიდვის თაობაზე გასცემს დადებით ან/და უარყოფით რეკომენდაციას (გონივრულ ვადაში).

6. ამ მუხლით დადგენილი საკითხის განხილვის დროს მაუწყებლის დირექტორი მმართველთა საბჭოს სხდომის მუშაობაში არ ღებულობს მონაწილეობას.

7. პირდაპირი შესყიდვის თაობაზე საბოლო გადაწყვეტილებას მმართველთა საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იღებს მაუწყებლის დირექტორი 3 სამუშაო დღის ვადაში.

8. მმართველთა საბჭოს უარყოფითი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, დაუშვებელია შესყიდვა განხორციელდეს პირდაპირი შესყიდვით.

9. პირდაპირი შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს /კრიტერიუმებს, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა კონკურსის მეშვეობით შეძენის შემთხვევაში.

25. დასკვნითი დებულება

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.